სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ფიზიკის კლუბ
„რეზონანსის“დებულება

მუხლი 1. კლუბის სტატუსი და წევრობა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის კლუბ ‘რეზონანსში“ გაერთიანებულია ფიზიკის მოყვარული მოსწავლეები,რომ;ებიც დაინტერესებულნი არიან ტექნიკის დახვეწითა და ლიდერული თუ გუნდური მუშაობის უნარების განვითარებით. სკოლაში ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ეს კლუბი მოთხოვნადია , გამოკითხულ მოსწავლეთა 90% (100 მოსწავლე), ფიქრობს, რომ ამ კლუბის შექმნა აუცილებელია სკოლისა და მოსწავლეების განვითარებისთვის.

მუხლი 2. კლუბის წევრების უფლებები და მოვალეობები

- .სკოლა ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები და თავისუფლება, არ შეზღუდოს მათი ქმედება მათი უფლებების დასაცავად.
- კლუბის წევრს ევალება: უნდა იყოს კორექტული და პატივი სცეს სხვის აზრს, იყოს პასუხისმგებლიანი კლუბის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, იზრუნოს სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტის განხორციელებაზე.

მუხლი 3. მიზნები და ამოცანები

1. მიზნები

- კლუბი უვითარებს ადამიანს ტექნიკური მსჯელობის უნარსა და ტექნიკას,.
- გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბება;
- მოსწავლეებში ფიზიკისადმი ინტერესისა გაზრდა;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

2. ამოცანები

- მოსწავლეებისთვის აქტივობების დაგეგმვა- სწავლება, გუნდური გადაწყვეტილებების უნარების განვითარება და სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფი - ბენეფიციარები

- კლუბი გათვლილია: მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის.
- კლუბი დაიწყებს ფუნქციონირებას 1 მარტს და განაგრძობს 9 ივნისამდე.
- კლუბზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგის მიხედვით, კლუბი განაახლებს მუშაობას შემდეგ სასწავლო სემესტრშიც.

მუხლი 5. განმახორციელებელი ჯგუფები

- კლუბს მართავენ და ორგანიზებას გაუწევენ, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოს წევრები და მოწვეული მენტორები.
  კლუბს ხელმძღვანელობს სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

მუხლი 6. კლუბის სამუშაო განრიგი

- კლუბი იკრიბება ორ კვირაში ერთხელ, ასევე საჭიროებისამებრ.
- კლუბი მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ